



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის (PPD) პლატფორმა პარლამენტში

პროექტი ხორციელდება ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის მიერ,
საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით,
ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)
პროექტის “მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში” (G4G) მხარდაჭერით

ნათია კაციაშვილი

თბილისი, 12 ივლისი, 2017



დიალოგი

“თითქმის 2000 წლის წინათ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა შექმნეს ადამიანის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა - დიალოგი, იმ მიზნით, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, იოლად მოეძებნათ სიმართლის მიღწევის საუკეთესო გზები. დიალოგი ათენის საზოგადოებისათვის ურთიერთობის საუკეთესო ფორმა გახდა. ურთიერთობის ამ ფორმამ ხელი შეუწყო პირველი დემოკრატიის განვითარებას, კერძოდ, მთავრობა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრისას, ხელმძღვანელობდა დიალოგის გზით მიღწეული შედეგებით... საქართველოში ამის მაგალითს ე.წ. „ხევისბერის ინსტიტუტი“ წარმოადგენდა...”

Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი

“...რომელიც მიმართულია მხარეთა საერთო ინტერესების გამოვლენის, საერთო პოზიციის გამომუშავებისა და პრობლემის თანამედროვე გზებით მოგვარების, ასევე მიზნების, განზრახვების, იდეების შეთანხმებისაკენ. რადგან ენობრივი ურთიერთკომუნიკაციის პროცესი აგებულია პრინციპით „კითხვა–პასუხი“, „თანხმობა–წინააღმდეგობა“, ამიტომაც მას ხშირად თანხმობის ძიების ან შეთანხმების პროცესსაც უწოდებენ.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი



ვინ ვართ ჩვენ

არასამთავრობო, აპოლიტიკური და არალობისტური ორგანიზაცია, საქართველოში მოღვაწეობის თითქმის 10 წლიანი გამოცდილებით:

- **2004-2005** – “ბიზნესის და პარლამენტის საერთაშორისო დიალოგი” (EPDI) საქართველოში და საკანონმდებლო დიალოგის დამოუკიდებელი პლატფორმის დაფუძნება პარლამენტში – ევროკომისია, IPT
- **2006-2012** – დიალოგის განვითარება და საკანონმდებლო ხელისუფლების გაძლიერება გამჭვირვალე და ეფექტური ეკონომიკური მმართველობისთვის საქართველოში – BP; კანადის, ბრიტანეთისა და ჰოლანდიის საელჩოები; ირლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობები; მსოფლიო ბანკი; ეუთოს მისია საქართველოში, სხვა;
- **2007** – პარლამენტის თავმჯდომარის პატრონაჟითა და პოლიტიკურ ფრაქციათა თანხმობით, ცენტრის ოფისის განთავსება პარლამენტის შენობაში;
- **2014-2015** – ცენტრის პროგრამებისა და მეთოდოლოგიის განახლება და პირველი PPD, იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან თანამშრომლობით;
- **2016-2017** – საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის პლატფორმის დაფუძნება და გაძლიერება პარლამენტში – USAID/G4G

მისია

საქართველოს პარლამენტის ხელშეწყობა და საპარლამენტო პროცესის გაძლიერება, უკეთესი ეკონომიკური კანონმდებლობისა და უფრო ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შესაქმნელად, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის.

მიზნები

- 1) კანონმდებელთა გადაწყვეტილებების ინფორმირება;
- 2) საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის გამჭვირვალე და ეფექტური ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა;
- 3) კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში;
- 4) ინფორმირებული, სტრუქტურირებული, ინკლუზიური და კონსტრუქციული დიალოგის განვითარება კანონმდებლებს, პოლიტიკოსებსა და იმ პირებს შორის, რომლებზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილებები.

ძირითადი საქმიანობა

- კვლევითი ნაშრომებისა და სტანდარტული ბარათების მომზადება დეპუტატებისთვის;
- მასშტაბური ეკონომიკური რეფორმების დაგეგმვის პროცესში / საკანონმდებლო ორგანოში განხილვის პარალელურად, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის მომზადება და ფასილიტაცია;
- კვარტალური ეკონომიკური ბარომეტრი - საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციებისა და პროგნოზების განხილვა, მსჯელობა ქვეყნის ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობასა და არაეფექტურობაზე, ასევე, სავარაუდო რისკებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ფორმატში, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით;
- ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა, არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების გზით;

Coming soon: (1) ბიზნესის სასწავლო პროგრამა დეპუტატებისთვის
(2) საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის სახელმძღვანელო

საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის მეთოდოლოგია

- **საერთო პრინციპების კოდექსი** – ევროსაბჭოს და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ აღიერებული, როგორც მოდელი კონსტრუქციული დიალოგის და გამჭვირვალე ურთიერთობების განვითარებისთვის, პარლამენტართა და დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- **საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები**, მათ შორის: ახალი ზელანდიის, ბრიტანეთის, შოტლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიის და ალბანეთის საპარლამენტო პროგრამების გამოცდილება;
- **საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ქარტია** – შემუშავდა 2006 წელს, საჯარო-კერძო დიალოგის თაობაზე მსოფლიო ბანკის, ბრიტანეთის მთავრობის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტისა (DFID) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ვორქშოპზე (www.publicprivatedialogue.org)
- **საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის სახელმძღვანელო**



“PPD პლატფორმა პარლამენტში”, USAID/G4G

პირველი ეტაპი :

PPD პლატფორმის ჩამოყალიბება პარლამენტში, აპრილი - სექტემბერი, 2016

მეორე ეტაპი:

PPD პლატფორმის გაძლიერება პარლამენტში, 2017 წლის თებერვლიდან

სამუშაო თემატიკა:

- მიწის რეგისტრაციის რეფორმა
- საპენსიო რეფორმა
- RIA სისტემის დანერგვა საკანონმდებლო პროცესში
- გადახდისუუნარობის რეფორმა
- ელექტრონული კომერცია
- წყლის რესურსების მართვა
- ელექტროენერგიით ვაჭრობა
- კაპიტალის ბაზრის რეფორმა

აქტივობები

- კვლევითი ნაშრომების მომზადება დეპუტატებისთვის
- ექსპერტთა და ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ფასილიტაცია;
- საჯარო დისკუსიების ორგანიზება და ფასილიტაცია პარლამენტში.

ძირითადი პრინციპები

- აქტივობების არალობისტური და აპოლიტიკური ხასიათი (კროს-ფრაქციული და კროს-სექტორული მიდგომა)
- ინტერესთა ჯგუფების ფართო სპექტრის ჩართულობა
- მცირე და საშუალო მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა
- თანამშრომლობა წამყვან კომიტეტებთან
- კოორდინაცია რეფორმების ავტორ სამინისტროებთან
- ერთი მხრივ, კერძო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების კომპეტენციათა და ძალისხმევათა კოორდინაცია, ხოლო მეორე მხრივ, დეპუტატთა წინასწარი ინფორმირება, ეფექტური დიალოგისთვის

პრინციპების თვალსაჩინოებისთვის



4 სხვადასხვა პრაქტიკის
წარმომადგენელი, პოლიტიკებისგან
თავისუფალ, საქმიან ფორმატში,
კერძო სექტორთან დიალოგის
რეჟიმში



დამსაქმებელთა ასოციაციისა და
პროფესიული კავშირების
გაერთანების ხელმძღვანელი პირები,
საპენსიო რეფორმის თაობაზე,
პარლამენტთან და ერთმანეთთან
კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში



მიწის რეგისტრაციის რეფორმა

- 2 კვლევა დეპუტატებისთვის (პირველი და მეორე საკომიტეტო მოსმენებისთვის)
- ექსპერტთა და ინტერესთა ჯგუფების 2 სამუშაო შეხვედრა
- **11 აპრილი, 2016** - საჯარო დისკუსია პარლამენტში - „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა

42 მონაწილე | 11 დეპუტატი





მიწის რეგისტრაციის რეფორმის განხილვა პარლამენტში



საპენსიო რეფორმა

- კვლევა დეპუტატებისთვის
- ექსპერტთა და ინტერესთა ჯგუფების სამუშაო შეხვედრა
- **31 მაისი, 2016** - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან თანამშრომლობითა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კოორდინაციით, საჯარო დისკუსია პარლამენტში საპენსიო რეფორმის კონცეფციის თაობაზე

50 მონაწილე | 6 დეპუტატი





საპენსიო რეფორმის კონცეფციის განხილვა პარლამენტში



RIA სისტემის დანერგვა

- კვლევა დეპუტატებისთვის
- ექსპერტთა და ინტერესთა ჯგუფების სამუშაო შეხვედრა
- **14 ივნისი, 2016** - პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან თანამშრომლობითა და მთავრობის ადმინისტრაციასთან და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან კოორდინაციით, რეგულირების გავლენის შეფასების ეროვნული ჩარჩოს შესახებ რეკომენდაციების განხილვა

63 მონაწილე | 6 დეპუტატი





I დისკუსია პარლამენტში RIA სისტემის დანერგვის თაობაზე



II დისკუსია პარლამენტში RIA სისტემის დანერგვის თაობაზე

26 აპრილი, 2017 - დარგობრივი
ეკონომიკისა და ეკონომიკური
პოლიტიკის და ევროინტეგრაციის
კომიტეტებთან თანამშრომლობით,
მთავრობის ადმინისტრაციასთან
და საქართველოში ევროკავშირის
დელეგაციასთან კოორდინაციით,
რეგულირების გავლენის
შეფასების ეროვნული ჩარჩოს
შესახებ რეკომენდაციების
განხილვა

77 მონაწილე | 15 დეპუტატი





II დისკუსია პარლამენტში RIA სისტემის დანერგვის თაობაზე



გადახდისუუნარობის რეფორმა

- კვლევა დეპუტატებისთვის
- ექსპერტთა და ინტერესთა ჯგუფების სამუშაო შეხვედრა
- **28 აპრილი, 2017** - დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან თანამშრომლობითა და იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით, საქართველოში გადახდისუუნარობის სისტემის ხარვეზებისა და რეფორმის საჭიროების განხილვა

54 მონაწილე | 7 დეპუტატი





გადახდისუნარიობის პრობლემატიკის განხილვა პარლამენტში





ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა:





ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა:



დიალოგის ეფექტი

მაგალითი 1: საპენსიო რეფორმის კონცეფციის განხილვა

დიმიტრი ხუნდაძე:

- “მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებია წარმოდგენილი სადისკუსიო მაგიდასთან, და რომ პოლიტიკური შეთანხმება რეფორმის საჭიროებასთან დაკავშირებით შედგა;
- ასეთი ფართო საჯარო დისკუსია სასარგებლო იქნება პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და სწორი განხორციელების გზების იდენტიფიცირებისთვის”
- დეტალები სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს, რათა რისკები მაქსიმალურად იქნას დაზღვეული და რეფორმა სწორად განხორციელდეს.”

ავტორი სამინისტროს თანხმობა:

ორმხრივ რეჟიმში გაგრძელდეს დისკუსიები რეფორმის კონცეფციის სადავო საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად:

- საპენსიო ფონდის, როგორც მონოპოლიური სტრუქტურის შექმნის რისკი;
- დამსაქმებლების მხრიდან შენატანის განხორციელების სავალდებულობა, როგორც დამატებითი გადასახადი;
- კერძო დაგროვებითი ფონდებისათვის კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველყოფა, მესამე პილართან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათები;
- კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია



მაგალითი 2: უძრავი ქონებიდან საპოლიციო წესით პირთა გამოსახლების წესის ცვლილება | კანონპროექტის განხილვა, 2015

ინტერესთა ჯგუფების აქტიური კრიტიკის გამო, თვეობით გაჩერებული საკანონმდებლო პროცესი, **თუმცა:**

დიალოგის გზით, საერთო, კონსენსუსურ პოზიციაზე ჩამოყალიბება :

(1) საჭიროა სასამართლო წესით უფლების დაცვის უფრო ეფექტური საპროცესო მექანიზმის შემუშავება, რაც მოიცავს:

- საქმის განხილვის ვადის 1 თვემდე შემცირებას;
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის დადგენისა და სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობას;
- საქმის განხილვის დასრულებამდე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას.

(2) სასამართლოში საქმეთა განხილვის გახანგრძლივების რისკის აღმოფხვრამდე უნდა შენარჩუნდეს საკუთრების უფლების დაცვის არსებული სტანდარტი - საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის ადმინისტრაციული წესით აღკვეთის შესაძლებლობა, როგორც საკუთრების უფლების დაცვის სწრაფი და ეფექტური საშუალება.

PPD პლატფორმის ძირითადი მიგნებები და შედეგები

- კანონმდებელთა წინასწარი ინფორმირებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა კოორდინაციის გზით, ჩართულობის დონის, დიალოგის ხარისხის და ეფექტურობის გაზრდა ხდება;
- სტრუქტურირებული და ინკლუზიური დიალოგი ძირეული და მნიშვნელოვანი რეფორმების დაგეგმვისას და შემუშავებისას, ეხმარება რეფორმათა ავტორებს წინააღმდეგობრივი საკითხების დამღევეაში და ინტერესთა ჯგუფებისთვის მისაღები პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;
- დიალოგი ხელს უწყობს კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტებისა თუ საკანონმდებლო ინიციატივების ხარისხის გაუმჯობესებას;
- კერძო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა პოლიტიკის შემუშავების პროცესის საწყის ეტაპზე ხელს უწყობს რეფორმების მონაწილეობით დაგეგმვას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას, რაც რეფორმათა ქმედუნარიანობისა და ეფექტიანობის ალბათობას ზრდის.

თუმცა,

- “კარჩაკეტილობის პრობლემა”



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

მადლობა ყურადღებისთვის !

ნათია კაციაშვილი
ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის
აღმასრულებელი დირექტორი
+995 577 955755

www.bec.ge | info@bec.ge